დანართი

**საჯარო სკოლის დირექტორთა კონკურსის გასაუბრების ეტაპის შეფასების სქემა**

- თითოეულ კრიტერიუმში აპლიკანტი შეფასდება 4-ქულიანი სისტემით.
- გასაუბრების მაქსიმალური შეფასებაა 16 ქულა.
- იმისათვის, რომ აპლიკანტმა წარმატებით გაიაროს გასაუბრების ეტაპი, ჯამურად უნდა დააგროვოს 12 ქულა ან მეტი (75% ან მეტი).

*აპლიკანტის მიერ წარდგენილი თითოეული სკოლის სტრატეგიული ხედვა ფასდება ცალკე.*

*კომისიის თითოეული წევრი აპლიკანტს აფასებს ინდივიდუალურად. საბოლოო შეფასება გამოითვლება კომისიის თითოეული წევრის მიერ დაწერილი ქულის საშუალო არითმეტიკულით.*

| | |
|---|---|
| აპლიკანტის სახელი და გვარი ______________________<br><br>სკოლის დასახელება ___________________________<br><br>კომისიის თავმჯდომარე __________________________<br>კომოსიის თავმჯდომარის მოადგილე ___________________<br>კომისიის წევრი _______________________________<br>კომისიის მდივანი _____________________________ | ქულა ____________ |

| # | კრიტერიუმი | არ გამოვლინდა 0 | სუსტად გამოვლინდა 1 | ნაწილობრივ გამოვლინდა 2 | მეტწილად გამოვლინდა 3 | სრულად გამოვლინდა 4 | კომენტარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სტრატეგიული მართვა** - სკოლის შესახებ აპლიკანტის მსჯელობაში ჩანს დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული მართვის სტილის მახასიათებლები. მკაფიოდ აყალიბებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობისა და მათი ინტერესების გათვალისწინების გზებს.<br>სტრატეგიული მართვის პროცესის აღწერისას აქცენტი გაკეთებულია დელეგირების მნიშვნელობაზე, ავტონომიურობის წახალისებაზე. აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობითა და შერჩეული სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით, აყალიბებს ამ კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დანიშნულებას - ფილოსოფიას. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 2 | **მოსაზრებებისა და შეხედულებების არგუმენტირება -** აპლიკანტის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მსჯელობა არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებულია, სასაუბრო თემასთან მიმართებით განიხილავს ყველა მნიშვნელოვან საკითხს, აყალიბებს ადეკვატურ, რეალისტურ, კანონმდებლობის შესაბამის იდეებს. არგუმენტაცია გამყარებულია კონკრეტული სკოლის თავისებურებების შესახებ მოპოვებული რელევანტური ინფორმაციით. | | | | | | |
| 3 | **საჭიროებების გამოკვეთა** - კონკრეტული სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებით, აპლიკანტს შეუძლია პროცესების კრიტიკული შეფასება და მასზე დაყრდნობით რელევანტური დასკვნების გამოტანა - სკოლის განვითარების სტრატეგიული მიზნების ადეკვატურად შერჩევა და მათი პრიორიტეტულობის დასაბუთება. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |
| 4 | **პრობლემის გადაჭრა** - პრობლემის გადაჭრის ალტერნატივებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სკოლისთვის სტრატეგიული მიზნების რეალიზების რელევანტური გზების შერჩევასთან დაკავშირებით და ასაბუთებს მათ ეფექტიანობას.<br>განსაზღვრავს შერჩეული ინტერვენციების განხორციელების მოსალოდნელ საფრთხეებს და ასახელებს რისკების მართვის რელევანტურ გზებს.<br>აყალიბებს კონკრეტული სკოლისთვის შერჩეული სტრატეგიული განვითარების გზით მიღებული შედეგების მდგრადობის უზრუნველყოფის გზებს. | | | | | | |